

მწყმესი



მე ვარ მწყემსი ეთილი: მწყემსმან კოლიმან სული თვისი დაქსდვის ცხოვართათვის. (იოან. 10—11).
 ვპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული. ესრეთ იუოს სინარული ცათა შინა, ერისათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).
 მოვედით ჩემდა ყოველნი მასურალნი და ტკირთ-მპიშენი და მე განგისვენო თქვენ. (მათ. 11—28).

№ 12 1883—1893 15—30 ივნისს.

თავადი გიორგი ევსევის მე ერისთავი.

უველა კარგად იცნობდა განსვენებულს გიორგი ევსევის ძეს ერისთავს. მას დიდი პატივისცემა ჰქონდა დამსახურებული უველასაკან. იგი იყო მაღალის ხარისხის და დიდის ჯილდოს პატრონი სამხედრო წოდების კაცი. მაგრამ მართლაც ჯილდო არ იყო მიზეზი იმ დროს პატივისცემისა, რომელიც მოიპოვა მან თანამედროვე საზოგადოებაში. როგორც გარეგნად ბრწყინავდა იგი, აგრეთვე სულიერადაც ბრწყინვალე იყო ქრისტიანულ სარწმუნოებითა და კეთილ მიმართულებითა. თ. გიორგი ევსევის ძის ერისთავის მიმართულება

და სარწმუნოება ცხადათ ინატება შვილისადმი მიცემულ დარიგებაში, სადაც მამა აძლევს პასუხს და განმარტებს იმ კითხვების შესახებ, რომელთა აღსნას სთხოვდა მამას ცნობის მოყვარეობით გატაცებული შვილი.

ამ დარიგების ერთი ცალი ჩვენ გადმოგვცა დეგანოზმა მამა რაქდენ გიგაუროვმა, რომელსაც ვბეჭდავთ ზოგერთ პირთა თხოვნით. აი ეს დარიგება და აღსნა მამისაგან შვილისადმი მიმართული:

შვილი: რა რიკად შეიძლება, რომ ვატი ამ ქვეყანაზედაც იუოს ბედნიერი და საუყუნო ცხოვრებაც დაიმკვიდროს?

მამა: კეთილ-მოქმედება, სიმშვიდე, სიწყნარე, სიწმიდე, ღეთის-მოყვარება და კაცთ-მოყვარება ამ

სოფლადაც ბედნიერ-ჰყოფს კაცს და იმ სოფელსაც ნეტარებას დაუმკვიდრებს.

კაცი, რომლის სწავლა შეერთებულია კეთილ-მოქმედებასთან ამ სოფელსაც ბედნიერია და იმ სოფელსაც ნეტარია. და თუ კეთილ-მოქმედება არა აქვს შეერთებული სწავლასთან, ესეთი კაცი იქმნება ბოროტ-მომქმედი არიოზი და იულიანე განდგომილი; ამ სოფელსაც შერცხვენილი იქნება და იმ სოფელსაც.

კაცი მდიდარი, უკეთუ იგი იქნება ღეთის-მოყვარე, ძმათ-მოყვარე, ღარიბთა და დაერდომილთა მოწყალე, ქერიეთა და ობოლთა შემწყნარებელი, შეწუხებულთა შემწყე და კეთილი ყოფა-ქცევისა, ამ სოფელსაც ბედნიერი და საქებელია და იმ სოფელსაც სანატრელს ცხოვრებას დაიმკვიდრებს.

მშვენიერებით მრავალი დაბალი კაცის ქალი ხელმწიფის ცოლად ვახდომილა და კაცსაც მრავალთა მშვენიერებით ბედნიერება მოუპოვებია. სიმშვენიერესთან აღამიანს თუ კეთილი ყოფა-ქცევა შეერთებული აქვს—ამ სოფელშიაც ბედნიერია და იმ სოფელშიაც სასუფეველი მზათ აქვს. თუ სიმშვენიერე მოკლებულია კეთილ ყოფა-ქცევას, წლამდისინ მისი ბედნიერება დასრულდება; ამ სოფელსაც შერცხვენილი იქნება და იმ სოფლადაც სასუფეველს ვერ იხილაფს.

კაცი კეთილი ყოფა-ქცევისა. უსწაილეო, ღარიბი და უსახოც რომ იყოს, მაინც ამ სოფელშიაც საქები არის და იმ სოფელშიაც განსვენებით იქნება.

შეიღი: მამაო, ეგ რაცა სთქვით, ჭეშმარიტია, გთხოვ რომ ესეც მიბრძანოთ: ნატურალისტები იტყვიან, რომ ღმერთი ნატურააო, როგორ ამბობენ ამას?

მამა: შეილო, თუ ნატურა დაუსაბამოა, დაუსრულებელია და მიუწოდამელი, მზისა, მთოვარის, ვარსკვლავთა, ცისა და ქვეყნის შემოქმედი, და პირველი მიზეზი და წესის მიმცემია, ჩვენც ვბრუნებ ვადვიარებთ ღმერთსა; ისინი უწოდებენ ნატურასა ღმერთსა, რუსები ბოლს უწოდებენ, ბერძნები თეოზს უწოდებენ, თათრები ჰალლაჰსა, და ქართველები ღმერთსა. რადგანაც დასაბამი აქვს ნატურასა ანუ დასასრული, მაშასადამე ღმერთი არ არის. აი შეი-

ლო, მრავალ არიან ნატურანი, კაცთა ნატურა სხვა არის, მზისა, მთოვარისა და ვარსკვლავთ ნატურა სხვა არის.

ნატურა ანუ ბენება ზღვისა სხვა არის, და რაოდენიცა ცხოველნი არიან ზღვასა შინა, სხვა-და-სხვა ნატურა აქვსთ, პირუტყვთაც სხვა-და-სხვა ნატურა აქვსთ. ეს ნატურანი ერთმანეთის წინააღმდეგნი არიან და მტერნი; ერთარცა გველი მტერა კაცისა, და კაცი გველისა, ესრეთვე მჟრინველნი ერთმანეთის მტერნი არიან და შემეპმელნი. აი ცეცხლი თუ მეტია წყალზედა აღტზავს და დაშრობს, და თუ წყალი მეტია ცეცხლზედა გააქრობს. მაშასადამე ღმერთებს შორის ბრძოლა ყოფილა, და მრავალ-ღმერთობა შემოვა. ღმერთი ერთი უნდა იყოს დაუსაბამო, და პირველი მიზეზი ყოველის სხეულისა; ოთხი ნივთია მიზეზი ყოველის სხეულისა: ცეცხლი, წყალი, ჰაერი და მიწა; მაგრამ ამათ დასაბამი აქვსთ, და საზღვარი, მაშასადამე სხვა არის ამათი მიზეზი, დაუსაბამო დაუსრულელებელი და მიუწოდამელი, ვითარცა იტყოდნენ და ილოცავდნენ პლატონ და არისტოტელი, პირველნი ფილოსოფოსნი, მიზეზო მიზეზთაო, შემოწყალენ მე, შეილო ღმერთზედ ლაპარაკი არ არის რიგი, ამისთვისა რომ, რადგან დაუსაბამო და დაუსრულელებელი და მიუწოდამელია, მხოლოდ ვიცით, რომ არის, და ის კი არ ვიცით რა არის, და ვერც მივხედებით. აი დავით წინასწარმეტყველი რასა სწერს: «მე ესთქვი განკვირებებასა ჩემაა, რამეთუ ყოველი კაცი ცრუ არა». ვინც ღმერთზედ დაიწყებს ლაპარაკსა, ვერ მიხედება, გაცრუდება. აი ერთს მაგალითს გეტყვი, შეილო: ზღვის პირზედ ერთი სასახლე იყო აშენებული, იმ სასახლეში ფილოსოფოსნი შემოკრბენ და დაიწყეს ღმერთზედ სჯა და ლაპარაკი. ერთი ფილოსოფოსი ქვევით იჯდა და ხმას არ იღებდა, ჰკითხეს, შენ რატომ არას იტყვიო? იმან უპასუხა თურმე: თქვენ იტყვით: დაუსაბამო, დაუსრულელებელი და მიუწოდამელი არისო, მე რალა უნდა ესთქვა, ჩემი გონება ვერ მისწვდებაო. გააგრძელეს ლაპარაკი და იმ ღამეს იქ დარჩნენ, ეს ფილოსოფოსი დილაზედადრანა აღგა, აილო ერთი დიდი ღრმა კოცხი, ჩავიდა იმ ზღვის პირზედ, ჩაჰყოფს ზღვაში კოცხსა, ამოიღებს წყალს და გადმოასხამს ნაპირზედ, და იძახის ეს

ერთი, ეს ორი... ჩაედინენ ფილოსოფოსნი და ჰკითხეს: რასა იქო, რას მოქმედებო? იმან უთხრა: ზღვა მინდა ავსწყო. ამით უთხრეს, რომ გიჟს დაგიძახებენო; მან მიუგო პისუხად: მე ამ ზღვისა სიღრმეც ვიცი, სიგანეცაო, და ამ წყლის ბუნებაცა, თუკი მე ამისი აწყეა არ შემძლიან, თქვენ დაუსაბამოსა და მიუწოდამელზედ ლაპარაკობთ და თქვენ უფრო გიჟი არ დაგიძახებენო. შერცხეთ და პასუხი ვერ მიუგეს.

შვილო, თვით ჰხედავ, რომ ამაში შემცდარნი არიან მეცნიერნი. თუ რომ მეცნიერი არ შესცდება, უგუნური და უცნობო მარადის შემცდარია, შვილო!

შვილი: მამაო, მე ყოველივე მოვისმინე და ესცან, მე გთხოვ, რომ ესეც მასწავო, როგორ უნდა გჳაცნობო, ეინც იერ ცნობს ყოვლისა შემძლებელს ღმერთსა?

მამა: შვილო, ბერძნული ლექსია, აგენიტონ და გენიტონ; აგენიტონ არს პირველი შექმნილი, გენიტონ თესლისაგან გამოსული. აი გეტყვი: შენა ხარ ჩემი შვილი, მე ვარ მამა შენი, მამა ჩემი ევსევი, პაპის პაპამდინ მიჰყევი და მიხვალ, ადამი იყო, თუ იოანე, ანუ თეოდორე, ის იყო შექმნილი და არა თესლისაგან გამოსული. ახლა მიხედე ხარსა და ძროხასა, ის პირველი ხარი და ძროხა შექმნილია და არა თესლისაგან გამოსული, ძროხისაგან დაიბადება ხო, მიეჰხედოთ ახლა მფრინველთა, მამალი და დედალი, ისინი არიან შექმნილნი, და არა თესლისაგან გამოსულნი, იმათგან კვერცხი გამოვა, კვერცხისაგან წიწილა.

ახლა მიჰხედე ბალახსა, წესესა და საზამთროს; ისინი შექმნილნი არიან, და არა თესლისაგან გამოსულნი, იმათის თესლისაგან სნეა გაიზრდება, ესენი არიან შექმნილნი პირველის მიხეზისა და ლეთისაგან.

მიჰხედე მზესა, მთოვარესა, ვარსკვლავთა, ზღვასა, ქვეყანასა, როგორი კეთილი განკარგულება არის.


რაიკა დაუბადებოა ღმერთსა, ყოველივე საკვირველებოა, მაგრამ ხშირათ რომ გვინახამს, აღარ გვიკვირს. აი მაგალითს გეტყვი: ერთი კვერცხი რომ დაგანახო, და არ გენახოს, მერე რომ გითხრა, ამ კვერცხიდან სამს კვირაზედ გამოვიყვან სულიერსა, რომ ფრთები, ნისკარტი და ფეხები ჰქონდეს, და დაიყვილებს, რომ არ გენახოს, იტყვი, აი მამა ჩემი შემცდარა, რას ამბობსო. აი კიდევ დაგანახებებ ერთს მსხლის კურკასა, გეტყვი, შვილო, ამას მიწაში ჩავადებ, ამოვა ხე, მოისხამს მრავალს მახელოს ხილსა, რომ შესჭამ გაიმება, რომ არ გენახოს, იტყვი, მამა ჩემი შესცდაო, და რადგანაც მრავალჯერ გინახამს, აღარ გიკვირს და აღარც მამის შეცდომას იტყვი. შვილო, ვინც იტყვის, რომ ეს სოფელი ცუდია, უგუნურობა არის, და გმობა, ამისთვისა რომ რააცა ჰქმნა ღმერთმან, ყოველივე კეთილ არს.

აი ერთს მაგალითს გეტყვი, ერთი მშენებელი სასახლე რომ იყოს, ოქროს ეარაყითა და ლაჯვარდით დახატული, და მქენიერათ მორთული, ყოვლის სუნელებით საფხე, და იმ სახლში შემოვიდნენ გასერილნი და არაწმინდებით საფხე ხალხნი, მამასა დამე ის სახლიც აყროლდება. შეიდი მამაკედინებელი ცოდვაა, ამპარტაენება, მრისხინება, კაცის კელა, მრუშება, შური და სხვანი; ამისთვის უწოდებენ რომ სოფელი ცუდიაო, ჩვენა ვართ მიხეზნი სიცულისა და არა სოფელი. ვისაც ელაპარაკები, შვილო, თუ შენი მოუბნარობა შეისმინოს კეთილი, და თუ არ შეისმენს, უგუნური და უცნობნი ერთბაშად წარსწყმდნენ.

(დასასრული შემაჯავებია).

ბ ე დ ი ის ტ ა მ ა რ ი .

ბედია მდებარებს ეხლანდელ სამურძაყანოში ოქუშის-წყლის ერთ შესართავ წყალთან, ოქუშიდან 15 ვერსის მანძილზედ. გზა ზიუდის ჩრდილოეთით ოქუშიდან უსწორ-მასწორო და ტყით დაბურულ ალაგობით. ბედია მალლობზედ არის მედლიურად გადმომდგარი და სასიამოვნოდ დასკქერის მის წინ მდებარე დაკემულს ადგილს შავი ზღვის ნაპირად. ბედია



ბ ე დ ი ი ს ტ ა ძ ა რ ი .

ლიდი ხნიდანა ცნობილი საქართველოს ისტორიაში. ამბობენ, ვითომ აქ ბინადრობდა ვგროსი, მეგრელების მამათ-მთავარი აქვე იმყოფებოდნენ ერისთავები ბედიანებათ და შემდეგ ბედიან-დადიანებათ წოდებულნი და ეპისკოპოზი, რომლის მმართველობის ქვეშ იყო ვგროსის და დადისის წყლები შუა მაქცეული ალაგი, ეხლანდელ ოხოჯს და ერთ-წყალს შუა; საქართველოს ერთხელმწიფობის დროს ბედიელს ეკირა 26 ალაგი 40 ქართველ მღვდელ-მთავრებში და მეფის გვირგვინოსნობის დროს იღვა ცხოპის—სუხუმის ეპისკოპოზის ქვეოდ. ეხლანდელი ბედიის ტაძარი ალაშენა მეათე საუკუნეში აფხაზ-ქართლის მეფემ

ბაგრატ III, და გაამდიდრა მრავალ სოფლების შეწირვით. ამ ტაძარს თლილი და მოჭანდაკებული ქვა არტყია; ღიდი არ არის მაინცა და მაინც, მაგრამ დალიან ლამაზია. ზევით აქვს გუმბათი, რომელიც შეფოთლილია მცენარეებით. გალაგანში ეხლაც არის დარჩენილი ბედიელ-ეპისკოპოზთა სადგომები. შიგნით და გარეთ კედლებზედ ეხლაც მოჩანს წარწერანი, სადაც მოხსენებულია ბედიელი ეპისკოპოზები, გიორგი დადიანი და მეფე კონსტანტინე, რომელნიც სცხოვრობდნენ XIV საუკუნეში.

(დასასრული შემდეგ №-ში)



მარია და დედოფალი და შვილი მისი ოტაბ.

მარიამ დედოფალი და შვილი მისი ოტია. *)

მჩვიდმეტე საუკუნე საქართველოს ერისათვის ჯოჯოხეთის ხანად შეიქნა, ქრისტეს სარწმუნოებისათვის ბრძოლამ მეტად დაღალა ქვეყანა, დაეცა ზნეობა. საერთო სამშობლოს სიყვარული შეიცვალა ანგარების მოყვარებად. მთავრები, მეფეები და ერისთავები ერთმანეთს გაეჯიბრენ ქვეყნის აკლებად. აი, რასა სწერს მათიანე: «არამედ ჟამთა ამათ შინა, ვითარცა ვინილავთ, იქნა განტყვება ცოლთა, კლევა კაცთა და იღუმალ ტყვის ყიდვა და უჯერონი სჯულსა ზედა მრავალი იმერეთსა შინა».

ამ დროსვე მეფობდა ქართლში როსტომ მეფე, სჯულით მამამდიანი. მან შემოიღო სპარსული ზნეჩვეულება და ქრისტეს სარწმუნოების წინააღმდეგი ყოფა-ქცევა.

«ამა როსტომ მოიყვანა ყოველნი ტყვენი საქართველოსანი სპარსეთიდან გამაჰმადიანებულნი და ამათით შეერიათ ქართველთა განცხრომა, სმა-ქამა ყიზილბაშური, სიძვა, მრუშება, ტყუილი, ხორცთგანსვენება, აბანო, კეკლუტობა უგენი და მიდრკენ, ვიდრე მღვდელთ-მთავარნიცა ჰყოფდენ უჯეროთა».

მძღაფრი ლევან დადიანი იმ დროს უხტებოდა იმერეთს, გამოჰყავდა იქიდან მრავალი ქალი და კაცი და ჰყიდდა ოსმალეთში ტყვედ, იკლებდა ქვემო და ზემო იმერეთს, სწვაედა სოფლებს და აქცევდა კოშკებს, ციხეებს. ქართლ-კახეთში თეიმურაზ და როსტომ მეფენი ნიადგ ერთმანეთს ებრძოდნენ. როსტომ მძღაფრობდა შაჰაბაზის შემწეობით, და ჰგზავნიდა ურჩსა და ქვეყნის გულ-შემატკივარს ერისთავებს შაჰის კარზედ, სადაც მათ ამაჰმადიანებდნენ. ერი მ-ეცა სასო-წარკვეთილებას და ნელ-ნელა იღებდა ხელს ქრისტეს სარწმუნოებაზე; ქართველს ქართველობა აღარ სწამდა. ამ უბედურებას კიდევ ზედ დაერთო ორი საშინელი და ძლიერი კაცის ერთმანეთთან ქიშობა: ხონთქრის მურადისა და შაჰაბაზისა, რომელნიც ეომებოდნენ ერთმანეთს საქართველოს განაწილების გულისთვის. ბოლოს ეს მტარვალეცი მორიგდენ ერთმანერთს შორის და გაინაწილეს საქართველო: იმერეთი ჰხედა ხონთქარს მურადს და ქართლ-კახეთი — შაჰაბაზს. ეველას ეგონა, რომ მოიწია ჟამი საქართველოს მოსპობისო. ხალხი უნდა გამაჰმადიანებულიყო.

*) ეს ისტორიული წერილი და ნახატებიც გადმოღებულია «ყვალის»-ს მე 23 №-იდან.

აი, ამ დროს წყვიდადის ზნელითა და სასო-წარკვეთილებით მოცულ საქართველოს არეს ამო-უბრწყინდა ნუგეშინისმცემელი ვარსკვლავი. ეს იყო მარიამ დედოფალი, მეუღლე როსტომ მეფისა.

ამ სახელოვანისა და საქართველოს დედა ბურჯის მოცლენა სწორედ ბუნების საკვირველებად უნდა ჩათვალოს იმ ყოველ მხრით გარყენილსა და წყალწაღებულს საუკუნეში. სად უნდა მიეღო ამ დედოფალს ის უმაღლესი ზნეობა და სათნოება, ის დაუცხრომელი მხნეობა ქრისტეს სარწმუნოების შესამარგებლად, რომელიც მას ბუნების ხასიათებად შეჰქმნოდა: თავის ტყვის გამყიდველისა და მრუშის ძმის ოჯახში, თუ მამას მკვლელის, პირველის ქმრის ხელში, თუ სპარსულს ზნეჩვეულებაზე აღზრდილის მამამდიანის ქმრების ხელში, რომელნიც შემდეგ თვით განგებამ წილად ახვედრა ამ წმინდა ქალსა.

1621 წელს ლევან დადიანმა მიათხოვა მამია გურიელის შვილს, სვიმონს გურიელს, თავისი 16 წლის ნაზი ვარდის კოკორი დაჲ, მარიამ, და გაღიხადა დიდებული ქორწილი. სვიმონ გურიელი მომეტებული ბოროტი და უფლების მოყვარე კაცი იყო. ამ მტარვლის ხელში მარიამს მალე ეყოლა შვილი ოტია, რომლის სიყვარულმა და აღზრდამ, ცოტაც არის, დააეწყა აუტანელი და მისი ზნის შეუფერებელი ცხოვრება.

1625 წელს სვიმონმა მოჰკლა მამა თვისი. ასეთმა აუტანელმა ბოროტებამ გამოიყვანა ბოლოს მოთმინებიდან ღეთის-ნიერი მარიამ; მან დააგლო ქმარი და წავიდა თავის ძმასთან ლევან დადიანთან, რომელმაც ბოროტებისათვის თვით სვიმონს ჩხუბი აუტყნა, შეიპყრო და დასთხარა თვალები.

1634 წელს როსტომ მეფემ ქართლისამ სთხოვა ლევან დადიანს ცოლად მარიამი, რომელსაც იმ დროს დიდი სახელი ჰქონდა სილამაზითა და სათნოებით დაეარდნილი. ამას გარდა როსტომს სხვა განზრახეაცა ჰქონდა დადიანის დამოყურებით. მისს ჰსურდა დაესუსტებინა ძალი თემურაზ მეფისა, რომელსაც მაშინ ეწეოდა იმერეთის მეფე გიორგი. მარიამს თან მოჰყვა თავის ცამეტის წლის შვილი ოტია. ეს საუცხოვეო ყმაწვილი მისი დედის სიყვარულის გამო იშვილა როსტომ მეფემ და უმზადებდა საქართველოს ტახტს.

აი, ამ დროიდან იწყება დაუფიწყარი ღვაწლი მარიამ დედოფლისა საქართველოსადმი. მისმა სიყვა-

რულმა და სათნოებამ თვით მაჰმადიანს როსტომს გაუღვიძა გულში ქრისტეს სარწმუნოების სურვილი და შაჰაბაზის ყურმოჭრილი ყმა მაჰმადიანი მეფე გარდაქმნა ქრისტეს სარწმუნოების მცველად და სასულიერო წოდების მფარველად, მარიამ დედოფლის სასიამოვნოდ მან განაახლა მცხეთა ეკლესია, სიონი, თბილისისა და ალავერდის ტაძარი კახეთში.

მარიამ დედოფალი ჰყვარებდა, რომ მაჰმადიანი სარწმუნოება დღითიდღე ძლიერდებოდა ქართველთა შორის, გადიდებულ იყო ხორცის პატივი. ერის კაცი კი არა სამღვდელთა მძღველი იყო არაწმინდობისაკენ. საღმრთო სჯულს მაგდენად აღარაინ ასრულებდა. მან განიზრახა ამოფხვრა იმისთანა ზნეჩვეულებისა, რომელიც ავიწყებდა ერს ქრისტიანულს მოვალეობას და სათნოებას. აი, ამის გულისთვის მისივე გავლენით მოხდა ქუთაისს მღვდელ-მთავართა კრება ქართული ერის სჯულისა და ზნის განსაწმენდად, რომ აეკრძალათ ტყვის ყიდვა, ცოლის მოტაცება, მრუშება, ერთმანეთის აკლება, აგრეთვე შეეცაგმათ თავ-გასული მალალი სამღვდელთა და დავაგვინებით ისინი მტკაცდ ქრისტეს სარწმუნოებაზედ. კრებაში მიიღეს მონაწილეობა ქართლის კათალიკოსმა მალაქიამ, აფხაზეთის კათალიკოსმა ევდემონ, ქუთათელმა სვიმონ, გენათელმა ანტონ, ჭყონდიდელმა, ბედიელმა, მოქველმა, დრანდელმა ფილიპემ, ცაგარელმა კაზიმან, ხონელმა ზაქარია, ნიკორწმინდელმა იოაკიმ და ცაისელმა კირილე. ამით განაჩინეს ზემოხსენებულ ბოროტების მოქმედთა შერისხვა და შეჩვენება, რომელიც დაიწერა და დამტკიცდა კრებაზედ.

თვით მარიამ დედოფალი დღენიადაგ შრომობდა, რომ ძვირფასი ფარჩეულობით და ოქრომკედის ქოვილებით შეემკო გაცარტული ეკლესიები სამღვდლო და სამღვდელ-მთავრო სამოსლებით, გარდამოხსნებით და წმ. ტრაპეზებში სახმარებელ საფენებით. იგი ხმარობდა აუარებელს სიმდიდრეს როსტომ მეფისას ეკლესიების დაცარიელებულ საკურკლებების გასამდიდრებლად. თვით როსტომ მეფე შორს გამსჭვრეტი პოლიტიკოსი იყო; მან შეაყვარა თავი შაჰსეფს, რომელიც მას მამად უწოდებდა და ასახულებდა ურიცხვის სიმდიდრით. ამას გარდა როსტომ მეფეს წლიურ შემოსავლად ჰქონდა სპარსეთის შაჰისიგან დანიშნული რვა-ათასი ოქრო ისპანისა და სხვა სპარსეთის სოფლებიდან; მთელი ეს სიმდიდრე

შემოდოდა მარიამ დედოფლის ხელში და იგი სპარსეთის ქვეყნებიდან მოდენილ ოქროთი და ვერცხლით ამკობდა საქართველოს ტაძრებს, ათონის და იერუსალიმის ქართულ მონასტრებს. მეფის სასახლეში ორნაირი დროს გატარება იყო. მარიამ დედოფლის მზარეულ იკრიბებოდნენ მღვდელ-მთავრები და ისმობდნენ მუდამ საღვთო გალობა, გალობდნენ საღვთსაწაულო საგალობლებს, ძილის პირებს; ხშირად კარის მღვდელ-მთავრები იყვნენ იმის რჩევაში, თუ როგორ აემადლებიათ სარწმუნოება და ზნე აბა. როსტომ მეფის მზარეულ კი იკრიბებოდნენ სპარსელები, ატარებდნენ მხიარულად დროს, მღეროდნენ შეგინერს ჯამისა და ჰაფიზის ლექსებს. მდიდარმა სპარსულმა პოეზიამ იქონია ამ დროს გავლენა ქართულ საერო ლიტერატურაზედაც.

მარიამ დედოფლის გავლენით ყველა ერისთავთა და დიდებულთა ცოლები ამზადებდნენ სამღვდლო და სამღვდელ-მონაზნო სამოსლებს; იმათაც აგრეთვე ჰქონდათ თავიანთ გარეწარს ქრმებზე კეთილი ქრისტიანული გავლენა. დღეს ქართლ-კახეთში მრავალი ეკლესია და მონასტერია, საცა საეკლესიო სახმარებელ საფენებზედ და წმინდა ქურკლებზედ მარიამ დედოფლის შეწირულება არის მოქარგული. ამას გარდა მან საღვთო ლიტერატურასაც მიაცქია ყურადღება, მიაი გავლენით შეიესო საგალობლები; მაგრამ ყველაზედ უფრო დიდი ღვაწლი მარიამ დედოფალმა დასდო საქართველოს ქართულ მატინის გამართვას. ერთი ცალი ქართლის ცხოვრებისა, მარიამ დედოფლის ბრძანებით გადაწერილი, დღესაც ინახება რუმინაცევის მუზეუმში და შეადგენს საუკეთესო წყაროს ჩვენის ისტორიისას.

მისი გავლენით აყვავდა მეჩუამეცე საუკუნეში ახალი მიმართულების ხუროთმოძღვრება, მხატვრობა, და პალეოგრაფია, ხეცური ხელთნაწერის გაშეწიერება, ქარგვა და ოქრო-მკედის ქსოვილების გაუმჯობესობა. ამგვარი ზედმოქმედებით თავის ქმრებზედ: როსტომ მეფეზედ და ვახტანგ V (შაჰნავაზედ) და კეთილი გავლენით მან ჩაუდგა ისევე ძლიერი სული ქრისტიანობას საქართველოში. ქართველებმა შეისვენეს, ძალი მოიკრიფეს და ამის მეოხებით აღარ შეუშინდნენ მეთვრამეტე საუკუნის ქარიშხალს და სასტიკს ბრძოლას ეროვნების დაცემათვის. ქართველმა ერმა მარიამ დედოფლის ქველ-მოქმედების წყალობით უშიშრად მოაჯანა მეცხრამეტე საუკუნემდის ქრისტეს

ჯვარი და თავისი ეროვნება. მან სძლია უსჯულოებას, იმის გამო, რომ ერის თვით-არსებობას შეუწყველ ბურჯად შეუდგა მარიამ დედოფლის ქველმოქმედება. არც ერთს სახელოვანს დედოფალს საქართველოსას მარიამ დედოფალზე მეტი ღვაწლი არ მიუძღვის თავის ერის წინაშე. მაშ რა მიზეზია, რომ ისტორიამ თამარ მეფე და ქეთევან დედოფალი დიდების შარავანდითთ შეამკო და მარიამ დედოფლის სახელი კი ძლივსდა თუ იხსენება? ამის მიზეზი წუთისოფლის უმადურობა და გამაოუკლებელობაა.

ნათქვამია, ბედის-წერა კაცის დედინაცალიაო. მართლაც რომ მარიამ დედოფალს წუთისოფელი ავ დედინაცვალზე უარესად მოექცა. ამ საკვირველს ღვაწლ-შემოსილს საქართველოს დედას ამ სოფლის მწუხარების ნუგეშად ჰყავდა ერთად ერთი შეილი ოტია, რომელსაც მან ჩაუდგა თავის ქველ-მოქმედებითი სული და ამზადებდა საქართველოს ტახტზე საქართველოსავე გასაბედნიერებლად. მაგრამ მუხთაღმა წუთი-სოფელმა არც საქართველოს გაუმართლა თავის იმედები და თვით დედაც ჯოჯოხეთის ცეცხლს მისცა საყვარლის შეილის უდროვო სიკვდილით. 19 წლის ოტია, სიძე ზაალ ერისთვისა, და საქართველოს ტახტს მემკვიდრე გამოეცალა ხელიდან უბედურს დედა მის და გაუმწარა სიბერის დღენი თვით როსტომ მეფესაც. «ოტია მიიცივალაო გორს—მოგეითხრობს მემატანე გორგიჯანიძე. შეიქნა დიდი გლოვა, ტირილი 12 დღეს. იქვე გორს იყო ზარიანი ტირილი. ქართველნი ჯალაბობით, თავიანთ ჯარითა და შეძლებითა ზარის თქმით მოვიდენ უწინ მკვლართ მიწსგაე'ებულს, სახე-დახეულს, თმა-დაგლეჯილს, შევენება-შეშლილს, ტანისამოსს სისხლით გასერილს, მიწაზედ მჯდომს, ღონე-იმედ-დაკარგულს ბატონს დედოფალს მიუტი-რიან, მერმე გამდელსა და ჩარიგებით მათ ნხლებ-ლებსა, მერმე მეფესა და ქარისუფლებსა, თავ დთა და აზნაურთა, მსახურთა და მოხელეთა, მერმე მცხე-დართა მიუტირებდენ და გარდასაბურეს ვარდაფენ-დიან; ამას უკან იარაღსა და მორთულობასა, ტანი-სამოსსა, მურასა-გვირგვინსა და ჯრღა და ხმალსა და ხანჯალსა, მუზარაღსა და ჯაჭვსა და ხელნაევებსა და ცხენსა და მისს შეკაზმულობასა, ყოველს ნიძანს ცალ-ცალკე მიუტირებდენ და ერთ წელიწადს არ გათავდებოდა. მეფემ ბრძანა, «ეთა გზაზედ მიმავალსა, ისრევე ტილილში ერთმანეთს მიადვენონ». დილით ზუღღმდისინ იტირებდენ და სამარობით მზის ჩასვლამდისინ გამოიტირებდეს—მეფემ ბძანა «ვისაც აქ არ ეტიროსო, გზაზედ მოგეტიროსო, ან

ცხეთას იტიროსო». და რაც მკვლარს თავს ადგენ კათალიკოზი, ეპისკოპოზი და ბერნი და მოღვდენი რომ სახარებას კითხულობდენ, ასევე ბატონს დედო-ფალს ადგენ მონაზონნი, ჩოხოსანი და ამ სოფლით განდგომილნი ღვთის მონებაზედ მოწონებულნი დე-დანი, ქალწულნი ცრემლის ფრქვევით სახარებას და დაეითნს კითხულობდეს. ქართველნი ძაძითა და შა-ვით შეიმოსენ ლასტიჯინ, (ლორული) დაწენეი-ნეს, ვითა კუბონი, და ბატონი დედოფალი, ვითაჲ მკვლარი მაშიგ მიიღეს და ზედ შავი ზეწარი გარდა-ბურეს. ქვეშ თავდნი და მათი შეილები შეუსხდნეს საკაცეს ქვეშა. საქართველოს ჯარები, ვითაც დრო-შები წინ წაიძღვანეს და ამ ვაებით სწორზედ გორი-დამენ ცხეთას წაიღენ და ბატონის დედოფლის შეი-ლი საფლავს ზიიღეს. ორმოცამდი ცხეთას იღგნეს. ხსნილის დღეებში ასი ძროხა და ცხვარი დაიკვლოდა, მარხვის დღეებში ათასი ხმელი თევზი გაიჭრებოდა. ამ 40 დღეს დედოფალს მარილიანი ვერ აჭამეს, ქერის პურის მეტი მას არა უჭამია-რა. ბატონმა დე-დოფალმა თავისი შეილის ქონება ზოგი იერუსალიმს გაგზავნა, ზოგი საყდართა და მონასტერთ შესწირა და შეილის საფლავი მოაფენინა, სომხეთში დარბაზის სოფელი სვეტიცხოველს შესწირა».

«ოცს წელიწადს ბატონმან დედოფალმან არც ხორცი ჰქაა და არც შავი გამოიცივალა». დანარჩენი ჟამი მარიამ დედოფლის ცხოვრებისა კიდევ უფრო მტლად დაედვა საქართველოს და მის ქრისტეს სარწ-მუნოების გაძლიერებას. როსტომ მეფის სიკვდილს შემდეგ შაჰის ბრძანებით ეახტანგ V, შაჰნავაზმა, შეერთო დედოფალი მარიამ და ამ მაჰმადიანის მე-ფის გული კიდევ უფრო მოაღბო ქრისტიანობისა და საქართველოს ერის კეთილდღეობის გულისთვის.

„ნეტარ არს მიწა, სად დედაკაცი ერთა სიკეთის ბურჯად გამხდარა. კაცთა გონების საუნჯის დამცვი, სამშობლოს ნათლის სვეტად დამდგარა: სად შთამოება მის მტყიცე მცნებას— ტომის სიყვარულს გულში ითვისებს, მამულისთვისაჲ თავ-გამეტებას და მისთვის სიკვდილს დედის რძით ირგებს“.

გ. წერეთელი.

პედაგოგიური შენიშვნები საქრეველ სკოლის მასწავლებელთა საუბრებდებოდ.

(წერილი მეოთხე)

წინა წერილში ჩვენ მოვიხსენეთ სხვათა შორის ისიც, თუ რამდენად, სკოლის საქმის კარგად წარმოებისათვის, აუცილებლად საჭიროა მასწავლებლის მხრით წინ და წინ რიგინად მომზადება გაკვეთილებისა — ამას დაესძინთ კიდევ ერთს არა ნაკლებ საჭირო პრაქტიკულ საშუალებას.

შოველ სასწავლებელს აქვს თვისი განსაკუთრებული პროგრამა, თავისი ცხადად წინდაწინვე მომზადებული გეგმა სწავლებისა, რომლის გონიერად შესრულება შეადგენს უ თაერეს გამოცანას სკოლის და მასწავლებლის მხრით. ამ საქმეში გამოუცდელ მასწავლებლებს შემდეგი უმეტრება მოსდისთ: მასწავლებელი არ აქცევს ყურადღებას დროსწავლებისას; მოწაფეთა ძალის და სკოლის შეძლების მიუხედავად ზოგი მასწავლებელი დიდს გულსმოღვინებით ჰკრებს საქმეს ხელს, პირველ დღიდანვე ცდილობს გადასცეს სასწავლო საგნების მასალა სრულიად, დაწერილებით. ამ ნაირად პროგრამის ერთი ნაწილის შემუშავების დროს მასწავლებელი ვერ ამჩნევს, რომ დრო თან-და-თან ჩქარა მირბის და თვითონ კი ნელ-ნელა მიიწევა წინ. ბოლოს სამოსწავლო წელიწადიც გათავდება და მასწავლებელი მხოლოდ მაშინ შენიშნავს, რომ ძრიელ ფართოდ მოუყიდა საქმისათვის ხელი. სწავლა თავდება და მასწავლებელს ამ გვარი შრომით პროგრამის ერთი ნახევარიც ვერ მოუხწრია, ვერ გაუვლია. მასწავლებელი ცხადათ ხედავს, რომ პროგრამის შესრულება მოუხერხებელია და უეჭველია ბევრს ამ შემთხვევაში უკარობის გრძნობაც დაეზადებათ, მაგრამ —

წამხდარსა საქმეს რას არგებს მერმე თითხუდა კენანი.

ზოგი მასწავლებელი კი ამ შემთხვევაში გულგრილად გაიძახს, რაც შემქმლო ვასწავლე, კავაკეთე და მეტი მე არ შემქილიაო. ზოგი ასე არ იქცევა: როცა ხედავს, რომ წლის ბოლოს პროგრამა ვერ შეუსრულებია, რაც ძალი და ღონე აქვს, ადიდებას სიმუშაოს, აძლევს მოწაფეებს ევება ვაკვეთილებს, ჩქარობს შეასრულოს პროგრამის მოთხოვნილება და ათავებს მ-თ, რომ თავის ს ჩქარით აფუტება

იმხსაც, რაც წინად ჰქონდათ ბავშვებს შეგნებული. არაოდეს სწავლების საქმეში სიჩქარე კეთილ ნაყოფს არ მოიტანს — პოეტის სიტყვებს: «ზოგჯერ სიწყნარე გამობილი სჯობს სიჩქარესა ქებულსა» — ისე არაფერ საქმეში არა აქვს საპატიო ადგილი, როგორც პირველდაწყებით სწავლების საქმეში, — რადგანაც სწავლება უნდა მოხდეს შეგნებულად, მკიდრად და საფუძვლიანად, მისთვის რომ სხვანაირად შეძენილი სწავლა სკოლიდამ გამოსვლის შემდეგ, მალე გაეპარებათ ბავშვებს თავიდან; ამიტომ მასწავლებელი თავიდანვე უნდა ზრუნავდეს, რომ უბრალოდ, ცხადად და ადვილ-გასაგებად, პირდაპირ გზიდან გადაუხვეველად, განუშარტოს ბავშვებს რომელიმე საგნის სასწავლო მასალა ისე, რომ ბავშვმა მკიდრად, ცხადად შეითვისოს, შეისისხნობროს არსებითი ხარე სასწავლო საგნისა. ძველი რომაელები ამბობდნენ: «non multa, sed multum» (ყოცა, მაგრამ ბევრი) მხოლოდ იმას შეითვისებს და შეისისხნობროცება ბავშვი, რაც ცხადად ესმის, გაეგება. ეს არის ის ბევრი, რაზედაც უნდა ზრუნავდეს მასწავლებელი. ერთმა საპატიო პედაგოგმა ნეველსბახმა სიტყვა: კარგი მასწავლებელი მხოლოდ ის არის, რომელიც ვაკვეთილების დროს სულ განსაკუთრებით ვაკვეთილების გადაცემაზე ფიქრობსო, მაზედ ამყარებს ყველა თავის ძალას, ყურადღებას და ცდილობს რომ კლასში საეცადინოდ დანიშნული დრო მოახმაროს განსაკუთრებით მას, რომ მასწავლემ რიგინად შეითვისოს სასწავლო მასალაო».

ზემოდ აღნიშნულ შეცდომების თავიდანაცილებებისათვის ჩვენ ეურჩევთ პირველ-დამწყე მასწავლებლებს შეიგნონ პირველ-დაწყებითი სკოლების მიზანი, დანიშნულება, განსხვავება მეცნიერებასა და სკოლაში სასწავლო საგნებს შუა. ზოგიერთი საგნების, როგორც მაკალითად ქართული ენის გრამმატიკა — ან სხვა საგნები — მეცნიერულად მათი შესწავლა პირველდაწყებით სკოლებში შეუძლებელია, მაგრამ ელემენტარული ცნობები ყველა ამ საგნებიდან ადვილად მისაწდომია ყველა ბავშვებისათვის. მაშასადამე ყველა მასწავლებელი, ვისაც უნდა რომ მიზანს მიაღწიოს, უნდა ცდილობდეს, ზრუნავდეს, რომ თვითონ ცხადათ წარმოიდგინოს ყოველივე, რაც შესაძლებელი და შესაფერისია გარდაეცეს პირველ-დაწყებით სკოლის მოწაფეებს. ყველა სკოლას აქვს განსახლებული დრო წლიური სწავლისა, განსაზღვრუ-

ლი რიცხვი წლიური გაკვეთილებისა. ამის მიხედვით მასწავლებელმა წინაწინვე უნდა ყოველივე, გავლილი პროგრამის ძალით სამოსწავლო წლის განმავლობაში, გაკვეთილების რიცხვის თანახმად გაყოს ნაწილებად, განყოფილებად—თუნდ კვირაობით—შემდეგ მიიღებს რა მხედველობაში ნელა მხედველობას სწავლებისას, როგორც ეს ყოველთვის უნდა იყოს, მასწავლებელი უნდა ცდილობდეს გაათავოს დანიშნულის დროს განმავლობაში აღნიშნული ნაწილი სასწავლო პროგრამისა. ამ ნაირად მასწავლებელს შეეძლება ექნება მუდმივი თანასწორობა დაიჭიროს მოწაფეების მეცადინეობაში, აიცილოს თავიდან წლის ბოლოს აჩქარება, მოწაფეების ძალდატანება, მოკლედ გავლა საგნისა, ანუ პროგრამის შეუსრულებლობა. უმჯობესია, რომ მასწავლებელმა წინაწინვე მოიფიქროს, მოისაზროს საქმე, ვიდრე ბოლოს ინაღვლოს. ამ მხრით მასწავლებელი უნდა ბაძედეს გონიერ მეოჯახეს, რომელმაც კარგად იცის ზომა თავისი შემოსავლისა, რომელსაც შეუფარდებს გასაელის ანგარიშსაც. თანასწორობის დაუცველად მეოჯახე მალე ჩაეარდება სიღარიბეში, წინაწინ მასაზრებით, წინახედულობით კი შეიძლება უფალოდ და რივიანად ცხოვრებაც.

მასწავლებლის გამოუცდელობა, უფიცობა ხშირად გამოიხატება მოწაფეების ცუდის პასუხის დროს. მოწაფეების ცუდ პასუხს ზოგი მასწავლებელი ძლიერ სასტიკად უყურებს და სჯის მოწაფეს შემდეგის საბოლოო განაჩენით: «მენ არაფრის შეგნება არ შეგიძლია, უნიკო ხარ! შენი უნიკობა ცხადია და სხ.» ან და მასწავლებელი, კმაყოფილი მოწაფის სუსტი პასუხით, ზომიერად მტკ ბეჯითობას იჩენს, თვითონ კი არ შეელის მოწაფეს რივიან პასუხის მიცემაში, თვითონვე იძლევა მზა პასუხს. რასაკვირველია, ორივე შემთხვევას დიდი ზარალი და მავნებლობა მოაქვს. პირველს ის შედეგი მოჰყვება, რომ მოწაფე მთლად ჰკარგავს მხნეობას, ენერგიას, რადგანაც ხედავს თავის მეცადინეობის უნაყოფობას, ვარდება სასოწარკვეთილებაში. მეორე შემთხვევაში ეჩვევა დაუდევრობას, უთაურობას საუშუალოში იმ რწმენის მიხედვით, რომ მასწავლებლის მოწყალებითი მიხედვა ყველაფერს დაფარავს. ხშირად მოწაფის სწავლაში დაქვეითება არის ნაყოფი მასწავლებლის უყურადღებობისა, უმეცრებისა. მასწავლებელი თავის სიტყვა-პასუხში მოწაფეებთან

ძალიან თავდაჭერილი და წინდახედული უნდა იყოს. არასოდეს ბავშვს არ უნდა უთხრას მასწავლებელმა, უნიკო ხარ ან სხვა რამე ამ გვარი აღმანის პიროვნების შექალხავი სიტყვები. ხშირად ამ ნაირ განაჩენზე არის დამოკიდებული ბავშვის მომავალი. ძნელია განისაზღვროს ბავშვის ნიჭიერების ზომიერება საზოგადოთ. შეიძლება რომ ბავშვის უნიკოების მიზეზი იყოს ბავშვის სულიერი ძალის გვიან ვასხნა, ან სხვა რამე შემთხვევითი გარეგანი მიზეზი—ყოველ შემთხვევაში უნდა გვახსოვდეს მასწავლებლებს, რომ როდესაც საზოგადოებაში, ტოლამხანაგებში ეპიცირებთ ბავშვებს მისის თანამოყვარების შემლახველ ეპატეტებით, მაშინ ვკლავთ ჩვენ მოწაფეში თავის ძალისადმი რწმენას, ამ ნაირად მოწაფის მომავალ შრომას უმიზნოდ ერაცხთ,—ამის გამო შეიძლება ბავშვის ზნეობრივად აღზრდის მაგიერ გავაგიჟოთ კიდეც; ამიტომ არ უნდა გვაიწყდებოდეს, რომ ბავშვები არიან მომავალი კაცობრიობის, რომელიც მხოლოდ მაშინ მიდის წინ, თუ ჰყვანან კარგი, გონიერი, დახელოებული ახალ თაობის აღმზრდელები. «ისა სჯობს მამულისათვის, რომ შეილი სჯობდეს მამასო», ჩვენი ხალხიც ხომ ამას ამბობს. თუ მოწაფე მცირე წარმატებას იჩენს სწავლაში, გაკვეთილებს ვერ ამზადებს, ამის გამო მასწავლებელმა უცებ თავის დასკვნა არ უნდა შეადგინოს.—საჭიროა მასწავლებელმა გამოიკლიოს მიზეზები ბავშვის მცირე წარმატებისა სწავლის საქმეში. ხშირად მოწაფე მისთვის ვერ იჩენს ნიჭიერებას—ბეჯითობას, რომ ან ჯანმრთელად არ არის სრულიად და ან საჭიროდ შესაფერისად გონება განხნილი არ არის და ან ვერ შეუგნია კარგად მასწავლო საგნების ახსნა და სხვა. გარდა ამისა მოწაფეების სწავლებაში დაქვეითება იმის გამოც მოხდება ხოლმე, რომ მოწაფეებმა არ იციან როგორ უნდა მოჰკიდონ გაკვეთილების სწავლის საქმეს ხელი. ყველა ამ ზემო მოყვანილ შემთხვევებში, რასაკვირველია, ერთი და იგივე ზომები საჭირო ნაყოფს ვერ მოიტანს. აქ ყველა მიზეზებს თავისი შესაფერი ზომა ესაჭიროება და ამ გვარ ზომებს უნდა აქცევდეს ყურადღებას მასწავლებელი.

მაგალითად იშვიათი საქმეა, რომ მასწავლებელმა ყურადღება მიაქციოს იმ გარემოებას, თუ როგორ სწავლობენ ბავშვები გაკვეთილებს სახლში, გაკვეთილების მომზადებაში მოწაფეები, რასაკვირვე-

ლია, შემწეობას, ხელმძღვანელობას თხოულობენ, როგორც კლასში, ისე კლასს გარედაც. ბავშვებმა თუ არ იციან, როგორ უნდა მოჰკიდონ გაკვეთილების სწავლებას ხელი—ჩვეულებრივ დაიწყებენ სიტყვების შეუფერებლად გაზიარებას წიგნში. ამ გვარი გარემოების მსხვერპლი ბევრი იყო ძველად, უფრო სასულიერო სასწავლებლებში და ზოგან ეგონებ ეხლაც არის უფრო იქ, სადაც უცხო ენებს უცხო ენების საშუალებით ასწავლიან და ან პირველ განყოფილების შაგირდს საღმრთო წერილსაც უცხო ენაზე ასწავლიან—და სხვა. ამ ნაირი მოვლენა ჩვენს საერო სასწავლებლებში ხომ ჩვეულებად არის გადაქცეული. თუ მასწავლებელი რიგიანად ჰმეცლის მოწაფეებს გაკვეთილების მომზადებაში სკოლის გარედაც, სახლში ექვი არაა საქმე კარგად და მარჯვედ წავა. ბევრი ეხლანდელი პედაგოგები წინააღმდეგნი არიან სახლში გაკვეთილების მიცემისა, განსაკუთრებით პირველდაწყებით სკოლებში, სადაც ხანდისხან ამისათვის არც დრო არის და არც ადგილი, მაგრამ თუ მასწავლებელს წესად აქვს გაკვეთილების მიცემა—უნდა ეცადოს, რომ დანიშნულს მიზანს მიაღწიოს. პირველი გაკვეთილები საზოგადოთ ყველა სკოლაში უნდა ისწავლებოდეს, მზადდებოდეს მასწავლებლის ზედამხედველობით და ხელმძღვანელობით. ამიტომ მასწავლებელი, როდესაც სახელმძღვანელოებს ურიგებს, უნდა ცდილობდეს დაკვირვებით, გულმოდგინეთ გადაათვალიეროს ის და მიაქციოს განსაკუთრებითი ყურადღება ბავშვებისათვის უფრო ძნელ გასაგებ ადგილს. უკეთესნი საშუალებანი ბავშვების მენსიერებაში გაკვეთილების შთაბეჭდისათვის არიან სამოსწავლო ეარჯიშობანი, რომელშიდაც მონაწილეობას იღებენ ყველა მოწაფეები. თავის თავად ალალებდნენ მითავებულ ბავშვს შეუძლიან ბევრი იმუშაოს და გაიზვიპიროს კიდევ გაკვეთილები, მაგრამ ამ გვარად ნასწავლი მალე დაავიწყდება, რადგანაც უმეცრულად ჰკიდებდა საქმეს ხელს: სწავლობდა გაკვეთილებს უთაებოლოდ, უაზროდ.

დ. ბოცვაძე

ობოლის ქალის ტირილი.

დედის საფლავთან ათის წლის მივიდა ობოლი ქალი და მიცვდილს მშობელს ამ სიტყვებს თავსა დასძახის მტირალი: «შენ გენაცვალე, დედილო, დამინუგეშე გულისა; მას უკან, რაც შენ მომშორდი, ვარ მეტად დაჩაგრულია. ბატონობს დღეს ჩვენს სახლშია ბოროტი დედი-ნაცვალი, მიბდვერის მტრულის თვალითა და ვეჯავრები საწყალი. მწევვლის, სხვის შვილსა მეძანის და მიკრიჭინებს კბილებსა, მჩქმეტავს, ტანზედა ხორცს მწიწკნის და მიმტვრევს ცემით გვერდებსა. თუ თავსა მვარცხნის—სისხლს მადენს, პურს მიჭრის—დანას მიდერებს და ბეზღაობით მამასაც ჩემზედა გულისა უგრილებს. მადვიძებს რიქრახ დილაზედა, საქმობას დამაწყებინებს და თითქმის შუაღამემდის ჯათას არ შემაწყვეტინებს. რა დავიდღები შროამითა, მიმეძინება კუნჭულში შენ, საყვარელო მშობელო, ხშირად განახულობ მე ძიღში. შენის მშობღურის აღერსით სიზმარში გუდი მიტებება, მაგრამ რა ცხადად ვერ გხედავ, ცრემლეები მომედინება. ვიდა მადირსებს ბედგრულსა აღერსსა შენისთანასა. ვინ მანუგეშებს ჭირშია, ან ვიდა მიმდერს ნანასა?! ვინ ჩამხუტებს გულშია, მკლავზედა ვინ მიმისვენებსა, ვინ შემოკერავს კაბასა, ვერანგს ვინ ამიჭრელებსა?!

გადავაგორებ ღოდ ქვასა,
შენსა საფლავზედ დადებულს
და გავთხრი შავსა მიწასა,
რო დასწოლია შენს გულსა
და მოვასხურებ მდუღარე
ცრემლით შენს ძვირფასს სხეულსა,
ოდონდ შემპირდი ადდგომას
ტიად ობლობით ჩაგრულსა.
თუ არ ადგები, დედილო,
შენ გენაცვადე სულშია,
მეც ჩამიყვანე საფლავში
და ჩამიხუტე გულშია.
ეგებ მეც შენთან ვედიროსო
მანდ ტკბილსა მოსვენებასა
და მით ავმოძრე ამ სოფლის
ცრემლსა და მწურარებასა! ა
ასე დასტარის ობოლი
ქალი მშობლისა სავარეს,
მაგრამ არ ესმის ტირილი
დედას მიწაში მდებარეს.
მხოლოდ ნიაფი იტაცებს
იმის მოთქმის ხმას მწარესა
და უზიარებს გულ-გრილად
გულცივსა არე-მარესა.

ილ. ფერაძე.

ახალი ამბები და შენი შენები.

იმერეთის სამღვდლოების დებუტატთა კრებამ საბოლოოდ გარდასწყვიტა სასწავლებლის პანსიონის დახურვა, და ნაცვლად 30 პანსიონერის შენახვისა, 48 მოწაფეს დაუნიშნა ფულით შემწეობა (სტიპენდია). ამ კრებაზედ ბევრი საყურადღებო კითხვები იყო აღძრული, რომელთა შესახებ შემდეგ №-ში მოვეუხირობთ მკითხველს.

* *

დავით აღმაშენებლის ძეგლის დასადგმელად და სამღვდლოებს განსახლებლად და წმ. მიწაშეთა დავით და კონსტანტინეს კუბოს მოსახლებლად ჩვენ მივიღეთ სამას ოცდა ორი (322) მანეთი რაქაში შეკრებილი. ამ ფულებსა ჩვენ გექონდა 1912 მ. 52 კ. ეხლა არის 2234 მ. 52 კ.

* *

დაბეჭდა და ისყიდება ქართულ წიგნების მაღაზიებში მღვ. ნესტორ ყუბანიშვილის მიერ შედგენილი და გამოცემული პატარა წიგნი მამა დავით ბარამსჯილი. ფასი წიგნსა 10 კ. ამ თვის 12, სოფელს ხორთში გარდაიცვალა მღვდ. ამაყო ვეფხვაძე შობილგან 50 წლისა. განსვენებული, შემდეგ საღმრთო წერილის შესწავლისა ჯარუკის მონასტერში, იქმნა ხელდასხმულ მთავარ-დიაკნად 1870 წ.; ხოლო 2 წლის შემდეგ მღვდლად გაბრძოლდა ეპისკოპოსის მიერ. პირველად მახურებად სოფელ ღირში და შემდეგ გადაყვანილ იქმნა სოფელ ხორთში. სულ უმსახურნია მღვდლად 23 წელიწადი. ამ ხნის განმავლობაში განსვენებულს ისეთი სიყვარული დი სახელი დაუშახურნია თავის მრევლში და აგრეთვე გარეშე სოფლებშია მცხოვრებთაგან, რომ ყველას დანადა მისი სიკედილი, რადგან იცნობდნენ მას, როგორც პატიოსანს, ერთგულს ღვთის მოსამსახურეს, კარგ საღმრთო წერილის მტოდნე, მხნე და ყველასათვის მოსიყვარულე მოძღვარს. განსვენებული მართლაც იყო სამაგალითო და საყვარელი მწყემსი თვისთა ცხოვართათვის. განსვენებულს დარჩა ობლად და საწყლად ორი ვაჟი და მეუღლე, რომელაც თურმე დაუქლუხებულა ავად-ყოფობით.

სწავლა კათილენობასა და სარწმუნოებაზე.

მამა დავით ბარამსჯილი.

(დასასრული *).

VI

სმის შემდგომ გავიდა რამოდენიმე დრო და იმ უდაბნოში, სადაც მოღვაწეობდა მამა დავითი ლუკიანეთურთ, ძახეთითგან მოვიდნენ მონადირენი, რადგანაც იქ იყო ბევრი ნადირი: ირემი, გარეული თხა და სხვა. მონადირეებმა შეხედეს დავითის ირმებს, რომელნიც ვიწრო კლდისკენ მიდიოდნენ და გამოაუდგენ. მათ იფიქრეს: ვიწრო კლდეში აღვილად მოვკლავთ ირმებს და ხელთ ვივადებთო. ირმები ჩვეულე-ბისაებრ მოვიდნენ დავითთან და ლუკიანემ დაუწყო მათ წველა. ამ დროს მონადირეებმაც მოაღწიეს და, რომ დანიახეს ირმები ცხვრებივით გაჩერებულნი და ლუკიანე მწველელი მათი, ძლიერ გაკვირდნენ. თავ-ვანისცეს ბერს და სთქვეს: «ჴოი, წმიდაო ლმერთო!

*) ახ. «მწყემსი» № 11, 1893 წ.

რა არს უცხო ესე საკვირველი, რომელსა ეხედავთ, რომ ეს ირმები — გარეულნი ნადირნი, ისე სიმშვილით მდგომარე არიან, როგორც შინ გაზღილი ცხენარნი». ბერმა სიმშვილით მიუგო მონადირეებს: «რათ გიკვირთ დიდებულება ღვთისა, რომელი ყოველ დაბადებულს ზრდის (ფსალ. 103, 11—29), ჩვენც უძლურთა ამათ გვზრდის ამა ნადირთაგან, რამეთუ ჩვენ ყოველი მოველით ღვთისგან თავის დროზე საზრდელის მოცემას, ხოლო თქვენ, ძმანო ჩემნო, სხვა სანადიროს მიმადით და წადით, რადგანც ეს ირმები შუალს ჩვენს სანუგეშოჯდ მოუცია». ის მონადირენი ქრისტიანი იყო და სთხოვეს მამა ღვთის, რომ მიეღო ისინი უდაბნოში და ესწავლებია მათთვის მეცნიერება და სჯული. მათ თხოვნაზე ღვთისმა უთხრა მათ: «ნუ, შეიღწო და ძმანო! ნუ იქმთ ამას, ეს ადგილი, როგორც ხედავთ, კაცთათვის საცხოვრებელად ძლიერ ფიცხია, უმჯობესია წადით თქვენს ქვეყანას და ემსახურეთ ღმერთს, ბოროტებას ერიდეთ, გლახკთა და უღონოთა შეეწოდეთ და მათ ნაკლულევენებას აღასებდეთ; იცოდეთ, რომ ვინც გლახკს მოწყალებას აძლევს, ის ღმერთს ავასხებს». (იგავ. 19, 17) ამ სიტყვებით მამა ღვთისმა განუმარტა მონადირეებს, რომ ღვთის მსახურება და სულის ცხოვრება შეიძლება სოფელშიაც — თავის სახლში, უკეთუ კაცი განიშორებს ანუ არ იქმს ბოროტებას, კეთილად იცხოვრებს; იქმნება ღვთის მორწმუნე და ღვთის მოშიში, ღვთის მთავარეული და გლახკთა და გაჭირებულთა შემწე და მოწყალე. მონადირენი დაემორჩილნენ დარიგებას, წავიდნენ თავთაიანთ სახლებში და ყოველივე, რაც ნახეს და გაიგონეს მამა ღვთისაგან, უამბეს იმ ქვეყნის მცხოვრებთ. ბერი ღვთის მოშიშნი, ამ ამბის გამგონენი, მიდიოდნენ მ. ღვთისთან, ზოგი ღოცვა-კურთხევის მისაღებათ და ზოგნი კი ევედრებოდნენ მას, რომ ღვთისმა მიიღოს იგინი ღვთის სამსახურებლად უდაბნოში. ღვთისმა უთხრა მათ: «ეს ადგილი მძიმე სამყოფია, მოკლებულია ყოველ საზრდოს და ეშიშობ, რომ ვერ შეძლოთ ამ უდაბნოს იწროების მოთმენა». ამ სიტყვებზე იმათ აღუთქვეს ყოველივე იწროების მოთმენა ქრისტეს სარწმუნოებისთვის. მაშინ ღვთისმა უბრძანა, რომ მათ დაეტოვებიათ ყოველივე სოფლიური ზრუნვა, მოსულიყვენ უდაბნოში, მოეტინათ რკინები და ამოეკვეთათ კლდე წვიმის წყლის მო-

საგროებლად და ვერათვე გამოეკვეთათ კლდე თავიანთ ბინებლად. იმათ ყოველივე ბრძანება ღვთისა აღასრულეს და იწყეს მოღვაწეობა ღვთისთან უდაბნოში. ღვთის წმიდა ცხოვრება, მოღვაწეობა და სასწაულთ-მოქმედება შეიტყეს არა მარტო მახლობელ სოფლებში, არამედ შორეულ სოფლებშიაც და ყოველ დღე ემატებოდა მოღვაწეთა რიცხვი და ამგვარად გაშენდა ეს უდაბნო, რომელსაც დაერქვა სახელად ღვით ბარესჯის უდაბნო.

VII

ეს უდაბნო ანუ მონასტერი უფრო გადიდა სანატრელის ღოდოს მოსვლის შემდგომ. ღოდო იყო ყოველივე სათნოებით შემკული ბერი, წინეთის ცხოვრებდა აღმოსავლეთისკენ. ზაიგო თუ არა მამა ღვთის წმიდა ცხოვრება, მოვიდა მასთან და ბარესჯის უდაბნოში იწყა ღვთისთან ერთად მოღვაწეობა. ღვთისმა, იხილა რა მისი სარწმუნოების სიმტკიცე, უთხრა მას, რომ ის ასულიყო იმ მთის წვეროზე, გაეშენებია სენაკები და აყევანა იქ ძმანი-მოღვაწენი. ღოდომ აღასრულა ღვთის ბრძანება: ავიდა მთაზე, ამოკვეთა კლდე წყლის შესაგროვებლად, კლდეშივე გამოკვეთა მრავალი ქვაბი მათა — მოღვაწეთა საცხოვრებლად და იქ აღიყვანა ძმანი, ხოლო ღვით დარჩა იქვე. ხანდახან ისიც აღიოდა მთაზე მათა სანახავად, სხვა დროს კი გადიოდა მარტო კლდის ნაპრალებში და იქ ზეცას ხელ აპყრობილი მხურვალე ცრემლით ევედრებოდა ღმერთს. მრთ დღეს იდგა ის ერთ კლდის ძირას და ჩვეულებისაებრ ხელაპყრობილი ღოცულობდა. ამ დროს მის ფეხებთან დაეცა კაკაბი, რომელიც ქორს გამოქცეოდა; მის მახლობლად ქორიც დაჯდა. იმ უდაბნოში ამოსულიყო სანადიროთ ქორიანათ ერთი კერპთ-თაყვანის-მცემელი, ქორი კაკაბისთვის მოეტოვებია და ცხენით მიიბრძინა იქ, სადაც ღვით ღოცულობდა და კაკაბი დაეცა. მგონა ქორმა კაკაბი შეიპყრა და უნდოდა ქორისთვის ნანადირევი გამოერთმია. როდესაც ახლოს მივიდა, დაინახა კაცი ღოცვად მდგომარე, კაკაბი მის ფეხებთან მდებარე და ქორიც იქვე ახლო მჯდომარე, ძლიერ გაკვირდა და განცვიფრებით დაუძახა მამა ღვთის: «ვინ ხარ შენ კაცო?! საიდგან მოსულხარ და დამკვიდრებულხარ აქ?» მამა ღვთისმა მიუგო: «მე მონა ვარ შულისა ჩვენისა იესო ძრისტესი და ევედრები მას

მონადირე ძლიერ გაკვირდა და მადლობა შესწირა ლმერთს; მერმე ტირილით სთხოვა ღვთის, რომ მას განეკურნებია მისი შვილი, რომელიც ყავდა მას ხელფეხ გამხმარი. მონადირემ უთხრა ღვთის: «მრწამს, უკეთუ ევედრო შენ უფალსა შენსა მისთვის, გისმენს უფალი და უკეთუ განიკურნოს იგი, უმეტეს ილიდოს სახიერება უფლისა, მე და ყოველმან ნათესავმან ჩემმან მივიღოთ ნათლისღება, ვაქებდეთ და ვადიდებდეთ მას და ვიყოთ მსახურ სიწმიდისა მისისა». როგორც იესო ძრისტემ უთხრა მეფის კარის კაცს: წადი ძე შენი განკურნებულ არსო და განიკურნა ძე მისი (იოან. 4, 46—54), ეგრეთვე მამა ღვთისმა უთხრა: «წადი შინ და პოეო ძე შენი განკურნებული». ბუბაქარ (მონადირეს ბუბაქარ ერქვა) წავიდა სიხარულით და მართლა განკურნებული დახვდა ძე თვისი, რომელიც დიდი სიხარულით და ხტომით გამოეგება მამას. წინეთ კი მას ხელით აყენებდნენ და დაყავდათ. ბუბაქარ გადმოხტა ცხენიდან, მადლობა შესწირა ლმერთს და თავის ცოლშვილს უამბო ყოველივე გარემოება. ჰველა მისი ნათესავნი დიდი სიხარულით ადიდებდნენ ლმერთს საკვირველებათა მოქმედს. მეორე დღეს აღრე ბუბაქარმა დატვირთა სახედრები პურიით და მწვანელით, წაიყვანა განკურნებული ძე თვისი და მოსამსახურენი და წავიდა მ. ღვთისთან უდაბნოში; მივიდა და მიართვა მას პური და მწვანელი, მიუყვანა ძე თვისი და მადლობა შესწირა ლმერთს და ღვთის მონასა უფლისასა. ღვთისმა ბუბაქარ, მისი შვილი და მოსამსახურეები ლოცვაკურთხევით მოიკითხა, მერმე შეკრიბა ძმანი—მოღვაწენი; ყველას განუყო ბუბაქარის მოტანილი პური და მწვანელი და ისადილეს. ხოლო ბუბაქარს ჰკითხა: რა უნდა რომ სთხოვოს მას? ბუბაქარმა სთხოვა მონათელა თვისი და თავის ნათესაობის. მ. ღვთისმა გაატანა მათ მღვდელი, რომელმანც მონათლა ბუბაქარ და სახლეულობა მისი. შემდგომ ამისა ბუბაქარ კიდევ მოვიდა ღვთისთან, მოიყვანა მუშები, გამოაკეთინა კლდე და გააკათა ეკკლესია სალოცავად მოღვაწეთა.

VIII

შემდგომად ამისა გავიდა რამოდენიმე დრო, და მამა ღვთისმა მოინდომი ქალაქ იერუსალიმს გამგზავრება წმ. ადგილების თაყვანისსაცემლად და მოსალოცავად. თავისი ჰაზრი განუცხადა თავის მოწაფეს ლუკიანეს და უთხრა, რომ ის დარჩენილი

ცოდვების მოტყეებას. მონადირემ კიდევ კითხა: «მინა არს აქა მზრდელი შენი და ნუგეშინისმცემელი? ღვთისმა მიუგო: «რომელსა მე ვესაე—რომლის იმედი მე მაქვს—და თაყვანისსცემ, იგი არა მზრდელი ჩემი; ხოლო შენ დატოვე ფრინველი ესე, რომელიც ჩემთან მოვიდა და სხვაგან წადი სანადიროთ». ამყად ცხენზე მჯდომარემ უთხრა ღვთის: «პოი, საწყალობელო ბერო! მე შენი მოკვლა მინდა და შენ ფრინველის გაშვებას მეუბნები; ჯერ შენ უნდა შენი სიცოცხლე გეთხოვა ჩემთვის». ლმერთი იფარავს ყოველ თავის ქმნილებას და მეტადრე ღვთის მოშიშს და მორწმუნე კაცს (ფსალ. 35, 7; იოან. 10, 12; მათ. 10, 6—7; ლუკ. 11, 18) და ამიტომ ღვთის ღვთის იმედი ქონდა, რომ ლმერთი დაიფარავდა მას ამყ მონადირის ხელისაგან და დამშვიდებით უთხრა მას: «შენ არა გაქვს არც ჩემი მოკვლის და არც ჩემი გაშვების უფლება და არა თუ ჩემი, ამ ფრინველის მოკვლის უფლება არა გაქვს, ლმერთი ჩემი შემწე არს და ის დამიფარავს მე შენის მუქარისაგან». ამის გამგონე ამპარტაევანმა მონადირემ ამოიღო მახელი და უნდოდა მოეკლა მამა ღვთისი, მაგრამ ღვთის განგებით ჰაერში აღმართული ხელი, რომელშიაც მახელი ეჭირა ღვთის დასაკრავად, გაუშვდა და ევლარ მოხარა. მაშინ გაიგო მან ძლიერება ღვთისა, ჩაოხდა ცხენითგან, დაეცა პირქვე ღვთისის წინ და თხოვდა მას კრემლით შეცოდების პატიებას და თავის განკურნებას. ღვთის მასზედ გული შეტკივდა და ევლრა ლმერთს მის განკურნებას: «უფალო, იესო ძრისტე, ლმერთო ჩვენო, სახიერო და კაცთ მოყვარეო, რომელმან შეიწყნარე მვედრებელი შენი, რომელსაც ხელი გამხმარი ქონდა და განკურნე იგი (მათ. 12, 10—13; მარკ. 3, 1—5; ლუკ. 6, 5—10), ეგრეთვე, მეუფეო, განკურნე ხელი ამ საწყალობელ კერპთ-თაყვანის მცემლისა, რომელმან ამყობით აღიღო მარჯვენე თვისი ჩემზედა—უღირსისა ამის მონისა შენისა, რომ გულის ხმა ყოს და გიცნოს შენ ლმერთი მხოლო მოქმედი საკვირველებათა». ამ ლოცვის შემდგომ ღვთისმა შეახო თავისი ხელი მონადირის ხელს და განეკურნა მონადირეს ხელი, მსგავსად იმისა, როგორც იერობუამ მეფეს, რომელსაც უნდოდა დაჭერა ღვთისაგან მივლინებულ წინასწარმეტყველისა, შეახმა ხელი და მერმე იმავე წინასწარმეტყველის ლოცვით განეკურნა მას ხელი (3 მეფეთ. 13, 4—6).

იერუსალიმისა; ხოლო შენ გაადგენე ფეხბალნი კაც-
ნი, რომ დაეწიონ მას, ის არის შემოსილი დაბე-
კული სამოსლით და თან აქვს ძველი მალაკი, რო-
მელწინაც უწყევია სამი ქვა, და უთხარ მათ, რომ
ორი ქვა გამოართვან და მოიტანონ იერუსალიმშივე
და ერთი ქვა მისცენ მას და უთხარან ევრეთ: ამა
გიბრძანეს შენ უფალი: შენი სარწმუნოებისათვის-
მიგლია შენ მადლი ქალაქისაგან ჩემისა წმიდისა იე-
რუსალიმისა, ხოლო მე მნებავს, რომ ორი ნაწილი
უკანვე დაებრუნო იერუსალიმამდე და მესამედი იგი
მოპირცა შენთვის წაღებად უდაბნოსა შენსა, წადი
მშვიდობით, წმიდა ყავ იგი შენი მსვლით და იქ
ვანისენო შენ». ამ ჩვენების გამო პატრიარქი ძლი-
ერ გაკვირდა და ყოველად აღასრულა ისე, როგორც
უბრძანა მას უფალმან. პატრიარქის გაგზავნილი კა-
ცები დაქაუნ მ. ლავითს, იცენეს იგი და ყოველივე
უამბეს, ორი ქვა გამოართვეს და ერთი მისცეს მ.
ლავითს. მამა ლავითი ძლიერ გაკვირდა ამ შემთხვევის
გამო, დაეარა პირქვე მიწაზე, ცრემლით ასველებდა
დედამიწას და აღიღებდა ყოველად წმ. სამებას: «ღიდება
შენდა ლმერთო ჩენო, მამაო უშობებლო, მიზეზო
ყოველთა კეთილთა; ღიდება შენდა შრისტე ლმერთო
ჩენო, მხოლოდ შობილო ძეო, მხოლოსა მამისაო;
ღიდება შენდა, სულო წმიდაო, მამისაგან გამოსუ-
ლო და ძისათანა ღიდებულო; სამებაო წმიდაო ერთ
არსებაო, ლმერთო ყოველთაო, რომელმან ღირს
იზინე ჩემზნდაცა ცოდვილსა ამას და უღირსსა მო-
ნასა შენსა, მომზედენ სახიერებისა შენისათვის და არა
უფულებელს მკავ მვედრებელი შენი პონად შენ
შიერისა წყალობისა». ღიდების შეწირვის შემდგომ
მამა ლავითი დაბრუნდა ბაზესჯას და რამოდენიმე
დროების შემდგომ მოვიდა თავის უდაბნოში და მო-
იტანა ქვა მადლისა. ძმანი—მოღვაწენი ღიდი სიხ-
რულით მიეგებენ თავის სულიერ მწყემსს და აღი-
ღებდენ ლმერთს, რომ კიდევ დაუბრუნა მათ მწყემსი
თვისი. ცოტა დრო კიდევ გავიდა და მოვიდენ იე-
რუსალიმიდან ის მოღვაწენიც, რომელიც წავადენ
ლავითთან ერთად იერუსალიმს და უამბეს ძმათა ყო-
ველივე, რაც კი ნახეს და გაიგონეს იერუსალიმში.
ამ ამბავის გამგონენი ყოველ დღე და ყოველ მხი-
თგან მოდიოდენ უდაბნოში და ეს უდაბნო ძლიერ
გადიდდა.

IX

მამა ლავითს ძმათა—მოღვაწეთა შეკრება და
უდაბნოს გადიდება ძლიერ უხაროდა. ზოგი მოღვა-

ყო უდაბნოში წინამძღვრად მოღვაწეთა—ძმათა-
ლუკიანე, ამ სიტყვების გამგონე, ძლიერ დალონდა,
შეწუხდა და უთხრა მ. ლავითს: «წმიდაო მამაო!
ჩემი სიკვდილის დღემდე ვერ განგშორდები შენ და
მეც შენთან უნდა წამოვიდო. მამა ლავითმა მიუგო:
„ძმაო! რად იტყვი ლეთს წინააღმდეგ სიტყვას, თუ
ჩვენ ორნივენი წავედო, ჩვენი შრომა ცუდად ჩაი-
ლის: ლეთის სადაღებლად ჩემვან შესკრებილნი ძმანი
ხელმეორედ გაიბნევიან დაბეზში და სოფლებში და
ისინი, როგორც მწყემსთაგან მიტოვებული სამწყსო.
მიტაცუნეს და წარწყმიდნეს მკელმან სულიერმან.
დადექი, აქ ძმაო, მე კი წავალ და კრძობობით შენ-
თვის და აქ დარჩენილთათვის ვევედრო ლმერთსა და
ნუ დამაბრუნებ, ძმაო, რადგანც ძლიერ მსურს წასე-
ლა და წმ. ადგილების თაყვანისცემა, სადაც ცათა
მყოფელი ლმერთი ჩვენთვის კაციქმნა და კაცთათანა
იქცეოდა». ამ სიტყვების გამგონე ლუკიანე თანხმა
გაუხდა იქ დარჩენაზე, ხოლო მ. ლავითი წავდა იე-
რუსალიმს და თან წაიყვანა რამოდენიმე მოღვაწე-
თაგანი. როდესაც მიუახლოვდენ იერუსალიმს და
დინახეს იგი, მამა ლავითი დაეარა პირქვე მიწაზე
და ცრემლით მადლობდა ლმერთს, რომელმანც
ღირსჰყო იგი ხილვად ამ წმ. ადგილისა. იერუსალიმში
შესვლა აღარ იხება. თანამოგზაურნი მისნი ეხვეწე-
ბოდენ მას, რომ ის მათთან ერთად შესულიყო იე-
რუსალიმს, მაგრამ ლავითმა ჩასთავლა თავის თავი
უღირსად და უთხრა მათ: «ძმანო! თქვენ წადით და
ლოცვა ყავთ ჩემ ცოდვილისათვის, მე კი ვერ გავ-
ბედავ სიარულს ჩემის ცოდვილი ფეხით იმ წმიდა
ადგილებზედ, რომელთა ზედა ველეს უბოროთა და
ლმერთკაცებრივთა ფერხთა უქოქმედისა ჩემისათა;
საკმაოა ჩემთვის მადლი ესე, რომ ღირს ვიქმენ ჩემი
ულრსი თვლით ამ წმ. ადგილების ხილვად. თანა-
მოგზაურები გამოეთხოვენ ლავითს, დატოვეს იგი და
წავიდენ. ხოლო მშვიდმა ლავითმა დიდხანს ცრემ-
ლით და მუხლმოდრეკით ილოცა იქ ლმერთი, მერმე
იმ ადგილითგან აიღო სამი ქვა, როგორც თვით
შრისტეს საფლავისგან გამოაკეთილი სარწმუნოებთ,
ჩასდო მალაკში (მალაკი პატარა კალათის მგავსად
მოწნული ქურჭელია), წამოიღო ისინი და დაბრუნდა
ბაზესჯას. იმ დამეს იერუსალიმის პატრიარქს მლიის
გამოეცხადა ჩვენებით ანგელოსი შულისა და უბრ-
ძანა მას: «იერუსალიმამდე მოვიდა საკუთარი მონა-
ჩემი ლავით და სარწმუნოებითა მისითა წაიღო მადლი

წეთაგანი ერთად ცნოვრებდნ და ზოგი კი განმარტოებით მოღვაწეობდა კლდის ნაპრალებში. მ. ლავითი ხანდახან მიდიოდა განმარტოებულებთან, განამხნეებდა და განამტკიცებდა მათ. მით ღღეს მამა ლავითი მივიდა ერთ ამისთანა მოღვაწესთან, მოიკითხა იგი და უთხრა: «როგორა ხარ, ძმაო?» მან მიუგო: «კარგად ვარ, წმიდაო მამაო, შენი ლოცვით, მაგრამ წყალი, რომელიც აქ ჩამოწვეთს კლდეზე, ნაღველივით მწარეა და მხალიც მისგან მორწყული მწარეა და როდესაც ესეამ ამ წყალს, ან ეჭამ მხალს სიმწარისაგამო დიდათ შევწუხდები ხოლმე, მაგრამ ვეცხვი ჩემ თავს, რომ ჯოჯოხეთის სიმწარე უფრო ძნელია და უმჯობესია დავითმინო წუთისოფლის სიმწარე და მით მოვიპოვო ზეციერი საუკუნო სიტკბოება». მს სიტყვები დავითს ძლიერ იამა და უთხრა მას: «ნუ მწუხარე ხარ, ძმაო, არამედ ევედროთ შთაღსა ჩვენსა იესო ძრისტეს და როგორც მერხას დაატკო წყალნი მწარენი (გამოს. 15, 23—25). ეგრეთვე დაატკობს ეს წყალიც». აღმოაფხვს ჭურჭელი იმ მწარე წყლით, ილოცეს ლმერთი და მართლაც გატკბა წყალი იგი და როცა განმარტოებულმა გასინჯა მისი გემო, მას ძლიერ გაუკვირდა და ლმერთს მადლობა და დიდება შესწირა.

X

ამის შემდგომ ვაიდა რამოდენიმე დრო და ლვითის განგებით დავითმა ვაიგო თავის გარდაცვალების მოახლოება, შეკრიბა ყველა იმ უღაბნოში მყოფნი ძმანი, უკანასკნელად გადასცა მათ მამობრივი სწავლა და გამოეფხოვა მათ შემდეგი სიტყვებით: «ძმანო ჩემნო და შეიღნო სულიერნო! მე განვალამ ქვეყანისაგან და მიწადევი შივექვევი, რაცა განწესებულია კაცთათვის, ხოლო თქვენ ნუ შეძწუნდებით და ნუცა აღშფოთდებით, არამედ უფრო განმტკიცდით და განძლიერდით, სცანთ ამოცება: მწუთი სოფლისა, ყოველნი წარმავალნი ვართ ამ წუთი სოფლითგან, ხოლო სული უკვდავია და გვეგულმგზის მღერა კვილისა ანუ ზორატისა, რომელც ვიზოქმედეთ ამ ქვეყნიურ ცხოვრებაში. ამისთვის დაუტყობელად დღე და ღამე ევედრებოდეთ ლმერთა, რომ მოგცეს ძალა წინააღმდეგეთ უხადეთა მტერთა ჩვენთა, რომელნიც მგეცადინობენ ჩვენ დაბრკოლებას, ცოტა ხანს დავითმინეთ მტრეც ესე სატყვიანი და საუკუნოდ იხარებდით, რამეთუ წერილ არს:

«მოთმინებთა თქვენთა მოიპოვოთ სულნი თქვენნი» (ლუკ. 21, 19). ამის შემდგომ უბრძანა მღვდელს შეწირვა უსისხლო მსხვერპლისა — აწირენა, წირვაზედ ეზიარა უხრწნელთა და უკვდავთა ძრისტეს საიდუმლოთა, წმიდასა ხორცსა და პატოხანსა სისხლსა შულისა ჩვენისა იესო ძრისტესსა, მადლობა შესწირა ლმერთს და განუტყევა სული. ძმთა კრებულმა იტირა



მამა დავით გარესჯელი.

და იგლოვა მწყემსი თვისი და თვითოეული მათგანი ემთხვია მის პატოხანს გეამს. ამ დროს იქ მყოფმა ერთმა ძმთაგანმა, რომელიც სიყმაწვილითგან ბრმა იყო, დავითის სხეულის მთხვევის დროს მიიღო კურნება — მას აღეხილნა თვალნი თვისნი და ამის მხანველნი აქებდნ და აღიდებდნ ლმერთს, რომელმან სიკვდილის შემდეგაც აღიდა მხახუი თვისი.

ბლად. მღვ. ნესტორ ყუბანეიშვილი.

შინაარსი: თავადი ვიორგი ვესვეის ძე ერისთავი. — პედიის ტაპარი. — მარამ დედოფალი და შვილი მისი ოტია. — პედაგოგიური შენიშვნები სამრევლო სკოლის მასწავლებელთა საუურადღებოდ. — ობოლის ქალის ტირილი (დ. ექსი). — ახალი ამბები და შენიშვნები. — მამა დავით გარესჯელი.